

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

სამეცნიერო კონფერენცია გაიმართება 2010 წლის 28 დეკემბერს 11 საათზე არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №8).

სამეცნიერო კონფერენცია

ეთნოლინგვისტური საკითხავები II

ქართული ხალხური სამედიცინო ცოდნის
ეთნოლინგვისტური კვლევის ასპექტები

კონფერენცია გაიმართება რუსთაველის ფონდის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში: “სამყაროს ხატი – ხალხური სამედიცინო ცოდნის ეთნოლინგვისტური ანალიზი”

2010 წლის 28 დეკემბერი

მუშაობის გეგმა და მოხსენებათა მასალები

თბილისი
2010

რეგლამენტი

მომხსენებელს – 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 5 წუთი

მსჯელობა გაიმართება მოხსენებათა მოსმენის შემდეგ

მთავარი რედაქტორი † კონსტანტინე კაკიტაძე

რედაქტორი ლია ბაკურაძე

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მუშაობის გეგმა

(არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტის სააქტო დარბაზი)

ღალი ეზუბაია – შესავალი სიტყვა

1. **ნანი ხელაია** – პრეზენტაცია – სამკურნალო მცენარეთა ელექტრონული ლექსიკონი
2. **შორენა თავბერიძე** – სივრცის გააზრება სამკურნალო შელოცვებში
3. **მედია ბურდული** – დაავადებათა გაერცვლების გეოგრაფია საქართველოში
4. **ნათია ჯალაბაძე** – ქართველთა ხალხური სამედიცინო ცოდნის ეთნოლინგვისტური ასპექტები
5. **ნანი ხელაია** – საკვებ მცენარეთა თვისებები ჰუმორული პათოლოგიის მიხედვით და მათი შეფასება
6. **მურმან სუხიშვილი** – სიყვითლის აღმნიშვნელი ერთი სამედიცინო ტერმინის შესახებ
7. **ნინელი ჭოსონელიძე** – ქარ სიტყვის შემცველი ავადმყოფობის აღმნიშვნელი კომპოზიტებისა და სინტაგმების წარმომავლობისათვის ქართული ენის დიალექტებში
8. **ციცინო კვანტალიანი, რუსუდან ლანდია** – მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებთან დაკავშირებული ლექსიკა (“შინამრეწველობის მასალების” მიხედვით)
9. **ლია ბაკურაძე** – სნეულება და მასთან დაკავშირებული ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით

სნეულება და მასთან დაკავშირებული ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში საკმაოდ მრავალფეროვანია ავადმყოფობასთან დაკავშირებული ლექსიკა.

ერთმანეთის გვერდით გვხვდება ერთი და იმავე სემანტიკური მნიშვნელობის არქაული ფორმები, ნეოლოგიზმები, სამწერლო და სამეტყველო ენისთვის დამახასიათებელი ვარიანტები თავიანთი სტილური მახასიათებლების აღნიშვნით (სამწერლო, “მდაბიოთა” თუ უცხო ენის კუთვნილება).

ავადმყოფობის მნიშვნელობით ძირითადად გვხვდება **სნეულება, სენი და სნება**, ამოტვან **სენი და სნება** ზოგადი სახელეობია ყველა სულიერის შესაძლო დაავადებისა, **სნეულება** კი მხოლოდ ადამიანებისთვის დამახასიათებელი დაავადებების აღმნიშვნელია.

მათ ანტონიმური მნიშვნელობებიც აქვთ: სიმრთელე/მრთელობა.

ლექსემები **დაავადება, ავადმყოფობა, ჯანმრთელობა** ლექსიკონში არ გვხვდება. (არც ცალკე წარმოდგენილი ლექსიკური ერთეული **ჯანი**).

ეს სიტყვები არ მოიძებნა XVII-XVIII საუკუნის ქართველ მწერალთა თხზულებებში, გარდა ერთი გამონაკლისისა. ეს არის სულხან-საბას “მოგზაურობა ევროპაში”, რომელშიც ნახსენებია **ავადმყოფი**, თუმცა არა სნეულის, არამედ იმ მშობიარე ქალის აღსანიშნავად, რომელიც უქმროდ აჩენს შვილს. საბა წერს, რომ მონაზვნებს ასეთი ქალების ბავშვები მონასტერში მიჰყავდათ აღსაზრდელად: “...ავი დედაკაცი დაორსულდება, მუცელს ვერ წაიხდენს”...**ავადმყოფის** მომვლელი წაიყვანს ამ ყმაწვილს”.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლექსიკონში საბა ავს განმარტავს როგორც არაკეთილს, ცუდს, შესაბამისად, **ავადმყოფობა** მისთვის არის ადამიანის შინაგანი მდგომარეობა და არა სნეულება.

ავ ძირის შემცველია ასევე **ავადობა**, რომელიც ერთადერთხელ არის ნახსენები ლექსიკონში: “ავადობა დაესენების ცხოველსა...”

საფიქრებელია, რომ **ავადმყოფობა, დაავადება** და **ჯანმრთელობა** მოგვიანო პერიოდში დამკვიდრდა სამეტყველო ქართულში, აქედან პირველი ორი გადააზრებების შედეგად, მესამე

კი სიტყვაქმნადობის საშუალებით და ამ გზით იქცა სალიტერატურო ქართულის კუთვნილებად.

ლექსიკონში მოცემულია სნეულების, კონკრეტული დაავადებების სახელები, სნეულებების სახეები, სნეულებასთან დაკავშირებული ლექსიკა. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ქართული შესატყვისების გვერდით ხშირად დამოწმებულია უცხო ენიდან შემოსული სინონიმური ვარიანტები. მითითებულია წყარო და ხშირად ილუსტრაციაც: “**დისპნოა** ბერძნულია, სულის გუბების სენია (გრიგოლი დიოლოლო).” “**ბასრანი** სენია, რომელსა ბერძნულად აბასარიკას უწმობენ.”

ზოგიერთ შემთხვევაში საბა გვთავაზობს ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულის სხვადასხვაგვარ განმარტებას სამწერლო და სამეტყველო ქართულის მიხედვით:

ბუგრი – საღმრთო წერილში ბილწების მოქმედად სწერია, კარაბადინში მსხმო რამე მუწუკად, ვიეთნი ყუავილისა და წითელას სენთა უწმობენ.”

საინტერესოა დაავადების სიმპტომების აღმნიშვნელი ლექსიკაც:

- სნეულის მდგომარეობა:
- ბინარი** – სნეული ჩუმად მივარდნილი; **ზაპილო** – სნეული უღონო; **ზერე ქუჭრე სნეული** – არც წოლით იყოს, არც მრთელად.
- სნეულის “**სულის კუეთა**” (თქმა):
- კენესა** არს სნეულისაგან ღმობით სულის კუჭთა; **ხრინგა** სნეულის გულზედ ქშენის ცმა;
- ტემპერატურა:
- ჭურევა** –სნეულის დღითი დღე სიცხის მომატება (4,9 ამოს).

ცხოველთა და ფრინველთა დაავადების აღმნიშვნელი ლექსიკა ძირითადად ქართულია: **წიწაკი** –ფრინველის სენია; **ხოკი** – ღორთა და კამეჩთა სენი, **ჯილეხი** ზროხის მომსრეელი სენია.

სნეულებასთანაა დაკავშირებული მკურნალობის აღმნიშვნელი მრავალფეროვანი ლექსიკა და სპეციფიკური სიტყვები, რომლებიც გამოიყენება დაავადებაზე საუბრისას: **უკადი, ვნება, შეედვა, დაერთო** და ა.შ.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სნეულებასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების დაჯგუფება სისტემურია, გათვალისწინებულია სიტყვის სემანტიკური ველი, ხშირად მოცემულია მათი სტილური თუ სემანტიკური მახასიათებლები, დაცულია წყაროს დამოწმებისა და ილუსტრაციის პრინციპი.

ლექსიკონში დაცული მასალა უნიკალურ საშუალებას იძლევა როგორც ქართული სამედიცინო ცოდნის ისტორიის, ისე ენის განვითარების შესწავლის თვალსაზრისითაც.

მედეა ბურდული

დაავადებათა გავრცელების გეოგრაფია საქართველოში

დაავადებათა გავრცელების არეალზე და მათ ხასიათზე სხვა ფაქტორებთან ერთად გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ამა თუ იმ რეგიონის ბუნებრივი პირობები: კლიმატი, სასმელი წყალი და სხვ. საქართველოს გეოკლიმატური გარემო მრავალფეროვანია, აქ გვხვდება ერთიმეორისაგან ფრიად განსხვავებული მიკროკლიმატური კუთხეები, შესაბამისად, საქართველოში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალა მეტად საინტერესო სურათს იძლევა აქ გავრცელებული დაავადებებისა და მათი მკურნალობის თავისებურებების შესახებ. გეოკლიმატური მრავალფეროვნება, თავის მხრივ, ერთგვარად განაპირობებდა ქართული ტრადიციული სამედიცინო კულტურის მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს.

გეოგრაფიულ-ზონალური თვალსაზრისით, საქართველოში გვაქვს რეგიონები, სადაც ესა თუ ის დაავადება ნაკლებ ან საერთოდ არ იყო გავრცელებული, ზოგიერთი კუთხე კი დროიდანვე ცნობილია როგორც ამა თუ იმ დაავადების კერა. ასე მაგ., ენდემური დაავადება **მალარია** გვხვდება კოლხეთის დაბლობსა და ქვემო ქართლის ზოგიერთ რაიონში; **ჩიყვი** – სვანეთში და სხვ.

სპეციალურ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ საქართველოს მთაში ტრავმულ დაზიანებათა (ქირურგიული) მკურნალობის მეთოდები და საშუალებები, თერაპიულთან შედარებით უფრო რაციონალური იყო, ბარში კი ტრადიციული მედიცინის ყველა სფერო იყო განვითარებული.

როგორც ისტორიული წყაროები, ისე ეთნოგრაფიული მასალა მალარიის გავრცელებას არაჯანსაღ ჰავასა და წყლის უვარგისობას უკავშირებს. ჰიპოკრატეს კოლხეთის დაბლობის ბუნებრივ პირობები მიაჩნდა მალარიის გამომწვევ მიზეზად, რითაც იქაური მცხოვრებლები იყვნენ დაავადებულნი.

იაკობ ცურტაველი აღწერს რა ქვემო ქართლის უვარგის კლიმატს, მას უკავშირებს იქ გავრცელებულ დაავადებებს: „უამსა ზაფხულისასა ცეცხლებერ შემწუელი იგი მხურვალეაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვიდ-

რნიცა მის ადგილისანი – სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი, და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამჭნარნი და დამღერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებულნი არა ვინ არს მათ ქვეყანათა“

მოძიებული ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს, რომ „მარაბდა, მარნეული, ბორჩალო, თამარისი ციების ბუდე იყო, ხაშმიანი ადგილი იყო, განსაკუთრებით კი სოფელი ქვეში (ბოლნისის რაიონი) ითვლებოდა საშიშ ზონად იმდენად, რომ მეზობელი „სადი“ (1200 მ-ზე ზევით მდებარე) სოფლებიდან მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ სტუმრობასაც კი ერიდებოდნენ, რადგან მათ ჰაერი ან წყალი „დასცდიდა“, „უხამებდა“ და ციებით დაავადდებოდნენ.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, საქართველოში მთელი რიგი კუთხეები ჯანსაღ რეგიონებად ითვლებოდა, ასე მაგ., „რაჭის ოლქს იმერეთში ყველაზე კარგი ადგილმდებარეობა აქვს. ჰაერი აქ სუფთაა და კლიმატური პირობებიც სიჯანსაღის საწინდარია. სწორედ ამიტომაც ავადმყოფობები აქ ცოტა, ხოლო დღეგრძელი ადამიანები მრავლად არიან“

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, მაგ., იმერეთში, გავრცელებული ყოფილა კანის მძიმე დაავადება – პელაგრა, რომელსაც მოსახლეობა ერთგვაროვან საკვებს, კერძოდ, სიმინდს უკავშირებს.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით XIX ს-ში საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ჩანს ფილტვის ტუბერკულოზი.

ქართული ეთნოგრაფიული მასალა უხვ და საინტერესო ცნობებს შეიცავს აგრეთვე ეპიდემიური დაავადებების (შავი ჭირი, ქოლერა, ტიფი და სხვა). გამომწვევი მიზეზებისა და მათთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შესახებ. აღნიშნული მასალის მიხედვით ეპიდემიური დაავადებების კერები საქართველოში არ იყო და პერიოდულად მეზობელი სახელწიფოებიდან ვრცელდებოდა.

დაავადებათა გავრცელების გეოგრაფიასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე გეოგრაფიული გარემოსა და კლიმატის გავლენის შესახებ ქართველ ხალხში დაცული ცოდნა და გამოცდილება სრულად ასახავს დაავადების ხასიათსა და გამომწვევ მიზეზებს. ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციების შესწავლა ნათელს ხდის, რომ ხალხს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული გარემოს გავლენა მათ ჯანმრთელობაზე.

სივრცის გააზრება სამკურნალო შელოცვებში

სამკურნალო შელოცვების შესრულებისას ყოველთვის, როდესაც შემლოცველი წრეს ხაზავდა, იგი განსაზღვრავდა სივრცეს – მიჯვნავდა შინასა და გარეს, რასაც შესაბამისი რწმენა-წარმოდგენები ედო საფუძვლად. შელოცვის ტექსტებში **აქ** და **იქ**, **შინა** და **გარე** სოციალური გარემოს საშუალებითაა გამოიხატული („...აქ შავი ძაღლები ყეფენ, აქ თოფიანი კაცები არიან, აქ შავი მამლები ყივიან...“).

ხალხურ შელოცვებში ერთ-ერთი გავრცელებული მუქარაა ავი სულის გაგზავნა-გადაგდება ისეთ უდაბურ ადგილას, სადაც არ ისმის ძაღლის ყეფა, მამლის ყივილი, ღორის ჭყვივლი, ადამიანის ხმაური. შელოცვის ერთ ტექსტში ეს უდაბური ადგილი – „იქ“ – შეცვლილია კონკრეტული გეოგრაფიული ადგილით და შემლოცველი უკვე ამგვარად აშინებს ავ სულს: „ამ პიროვნებას თავი დაანებე... თორემ დაგწვავ, დაგანახშირებ და გაგაგზავნი რისეფში, რუსეში“. მაგრამ სივრცის დაკონკრეტება მთქმელთა ცნობიერებაში არ ცვლის მის მთავარ ფუნქციას. ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი ქართველებისთვის საფრთხესთან, უბედურებასთან, განსაცდელთან, სიკვდილთან ასოცირდება. ისტორიული გარემოებების გამო რუსეთიც ერთ-ერთ ასეთ ადგილად მოიაზრება, რაც ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშებითაც დასტურდება.

შემლოცველების მუქარა-დაშინების პასუხად შელოცვის ტექსტებში გვხვდება ბოროტ ძალთა დაპირება, რომ დაუყოვნებლივ გაეცლებიან ავადმყოფს – „...ეგრეთ განექარდეთ და განვეშორეთ და წავიდეთ ასს მილიონზე...“.

სიტყვა **მილიონი**, როგორც ნეოლოგიზმი, საგულისხმო ლექსიკური ერთეულია შელოცვის ტექსტებში. თუმცა არანაკლებ საგულისხმოა ის კონტექსტი, რომელშიც ეს სიტყვა გვხვდება – „ას მილიონ მთას გადავივლით, აქანა აღარ დავდგებით“. **ასი მილიონი მთა** სინონიმი უნდა იყოს **ცხრა მთისა**, ქართველთა ცნობიერებაში დამკვიდრებული უსაზღვრო სიშორის, ძალზე შორის აღმნიშვნელი ხატოვანი სიტყვა-თქმისა.

მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებთან დაკავშირებული ლექსიკა

(“შინამრეწველობის მასალების” მიხედვით)

“შინამრეწველობის მასალების” დიდი მნიშვნელობა და აქტუალობა თანდათანობით კიდევ უფრო მეტად იკვეთება. რაც დრო გადის, ამ ტექსტებს ფასი უფრო ედება. მათი უნიკალურობა გამოიხატება არა მარტო მაშინდელი საქართველოს (ტექსტები ჩაწერილია 1935-1936 წლებში) ენობრივი სიტუაციის მეტ-ნაკლები ჩვენებით, არამედ ეთნოკულტურული თვალსაზრისითაც.

თავისთავად ძალიან საინტერესოა მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებთან დაკავშირებული ლექსიკა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვნად გვეჩვენება მცენარეთა და ცხოველთა დაავადებათა აღწერა, სიმპტომები და მათი მკურნალობის საშუალებანი.

დღეს სხვადასხვა დაავადების მკურნალობა გამარტივებული და გაადვილებულია მრავალგვარი ფარმაცოლოგიური საშუალების გამოყენების შედეგად, ადრე კი გლეხი თვითონ ცდილობდა გამკლავებოდა სირთულეებს და დაეძლია საშიში დაავადებანი. გასაოცარია ამ სფეროში ქართველი გლეხის დაკვირვება და მიხვედრილობა, მათი დიდი ცოდნა.

ამ თვალსაზრისით ჩვენ შევისწავლეთ რამდენიმე დიალექტის მასალა. უმეტესად მთქმელები ყურადღებას ამახვილებენ ცხვრის დაავადებებზე. თითქმის ყველა კუთხეში, სადაც ცხვარი ჰყავთ, ისინი გამოყოფენ **სისხლის ადგომას**.

“ზოგიერთი ბალახი იწყებს **სისხლის ადგომას**, მაშინის გაიბერება ცხორი და შნექას [ქშენას] დაიწყებს, ფეთქავს. იმასა თოლში სისხლს გამოუშვებდით. თუ თავისი სისხლი არ მოლოკა, ის არ მორჩება, მოკვდება (ქართლ მტკვრ. ჩრდ. II, 269).

ასევე ყურადღება გამახვილებულია ცხვრის სხვადასხვა დაავადებაზე. ესენია: **ყვავილი**, **თურქული**, **ღურადი**, **პეპელი**, **იამანი**, **ნაბარევი**, **ყუთური**.

ცხვრის დაავადებათა გარდა, “შინამრეწველობის მასალებში” ცხენის დაავადებანიც არის გამოყოფილი. ესენია: **ქოთაო**, **ყიზილყუში**, **ოფი**, **დამადი**.

მცენარეებიდან ყველაზე მეტი დრო ეთმობა ვაზის დაავადებებს. განხილულია **ნაცრის მოყრა/შეყრა**, **კვირტა ჭია**, **ფილოქსერა**, **კოკინა ჭია**.

მოსხენებაში წარმოდგენილია მცირე ნაწილი იმ საინტერესო მასალიდან, რომელიც მცენარეთა და ცხოველთა დაავადებებს ეხება. გარდა ლექსიკისა, საინტერესოდ გვეჩვენება დაავადებათა აღწერილობა და მკურნალობის საშუალებანი. ამიტომ, შექმლუბისდაგვარად, მათზეც გავამახვილეთ ყურადღება.

მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ე ი ლ ი

„სიყვითლის“ აღმნიშვნელი ერთი სამედიცინო ტერმინის შესახებ

საბას „სიტყვის კონაში“ წყაროზე (II ნეშტ. 6,28) დამოწმებით სალექსიკონო ერთეულად წარმოდგენილია და განმარტებულია გუნი (გუნითა E) (II ნეშტ. 6,28 ZA) სიყვითლის სენი ZABC. E რედაქციაში უფრო სრული განმარტებაა მოცემული: გუნი სენი არს, რომელი კაცსა ავი ფერი დაედების, რომელსა იარაყანად უჭმობენ (საბა, 1991).

ლექსიკოგრაფის განმარტებით, **იარაყანი** გუნის თურქული შესატყვისია.

საბას მიერ დამოწმებული წყარო (II ნეშტ. 6,28) ბიბლიის მცხეთური ხელნაწერის მიხედვით ასე იკითხება:

„გინა თუ სიყმილი იყოს ქუეყანასა ზედა, გინა თუ სიკუდილი იყოს ქუეყანასა ზედა, ხორშაკი და გუნი, გინა მკალი, გინა ბუზი“ II ნეშტ. 6, 28.

ძველ ქართულში **გუნ-** ფუძის პარადელურად დასტურდება მისი ფონეტიკური სახესხვაობანიც **გვნი** და **გონი**.

გუნი დაფიქსირებულია ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიც. ჩუბინაშვილების აქეთ ეს სიტყვა ლექსიკონებში, ფაქტობრივად, აღარ ჩანს, თუმცა ძველი ქართულის **გუნ-** ფუძესთან მიმართებით ყურადღებას იქცევს გურული დიალექტის დამგუნება. იხ. დამგუნება თუთუნისა შეტეხილი თუთუნის ფოთლების დემადემად (ნ.) დაწყობა და დადება შეყვითლებამდე (გ. შარაშიძე 1938).

გუნი, გუინი, გონი როგორც დაავადების სახელი, შემონახულია ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“. აქვე წარმოდგენილია მკურნალობის რეკომენდაციები („და ერგების გუნიანსა“ 508,3), სხვადასხვა ცნობა ამ დაავადების შესახებ.

ირკვევა, რომ **გუნი** შავი ფერისაც შეიძლება იყოს (**შავი გუნი**):

„გუნი და სიყვითლე კუერცხის გულისაგანვე, **შავი გუნი** შავისა ნავლისაგან არის“ (81, 3-4).

გუნის სარგო წამლები ავადმყოფს შეიძლება ცალკეც მიეცეს და სხვა წამლებთან შერეულადაც, დანაყილი ან შემგბარი – ნელთბილი თაფლიანი წყლის დაყოლებით:

„წამალნი, რომელნი ერგებიან **გუინსა**, მარტონი და გამოიდებენ უტანჯველად. მათგანი: აფსინდი და ასრიონი, სუმბული და ვანი, ხატბი და ღარიყონი, ენდრო და ბალასნის ღერი, და ჯანტანა და ქუშტი, და ზარევიანი. შეასუინ ესე მარტივად ანუ რეულად, და დანაყილად ანუ შემგბარად. შეასუი თაფლ-წყლითა ნელ-ტფილითა და გასწმენდს **გუიანისაგან** ტანსა...“ (533, 30-32).

განმარტებულია, რომ ეს წამლები გუნით დაავადების ყველა სახეს არ არგებს, მნიშვნელობა აქვს დაავადების სიმძიმეს:

„და გასწმენდს ტანსა და გახსნის ნასკუთა **გოანისაგან**, და არა მას გოიანსა, რომელ იყო ცხროთა თანა და ძნელსა სიმჭურვალესა ღუიძლისასა ...“ (533, 32-34).

„და თუ იყოს **გონი** თუალთა შიგან და ტანი წმიდად, მაშა ჰკურნე ამით წამლითა, რომელ დაგვიწერია“ (535, 31-32).

რომ წამლის მიღების შემდეგ გუნი ორგანიზმიდან შეიძლება გამოვიდეს სხვადასხვა გზით:

ამონთხევით: „და შეასუ სნეულსა და ათხიე, რომელ გამოიღოს **გონი** თხევითა და გახსნის ნასკუთა“ (534, 26-27).

ოფლის მოდენით, მოშარდვით: – დანაყე და შეასუ ღუინოა ძუელითა, და მერე უბრძანე შეკერა, ვიდრე ოფლი გამოვიდეს და ფსას **გონი**“ (524, 31-33).

ტანში გასვლით: „წამალი, რომელი გამოიდებს **გონსა** გასვლით (533, 36).

წამლიანი წყლით განბანით: „და მაშინ უბრძანე სნეულსა დაიბანოს მით, და ნახო, რომელ გავიდეს **გონი** წყალსა თანა“ (534, 14-15).

ძარღვის გახსნით: „და ერგების გონისა გახსნა ძარღვისა, რომელ არს ენასა ქუეშე, და გუეყოფის ესე. თუ ღმერთსა უნდეს, რომელ გუითქომს და გუისხენებია გონისა ნიშანი და წამალი“ (536, 19-22).

ახალი ნაზი საჭმელებით და ჰიგიენით: „და რომელნი საჭამადსა ჭამდეს ლატიფსა და ახალსა, გამოიდებს იგი **გონსა** და ნიადაც ებანებოდეს აბანოს შიგან“ (536, 17-18) და ბევრი სხვა.

ზაზა ფანასკერტელი **გუნის, გონის** სინონიმად იარაყანსაც ასახელებს: „და ესე წამალი ერგების გონსაცა, რომელ არს იარაყანი“ (617,20-21)

დ. ბაგრატიონი „იადიგარ დაუდში“, როგორც წესი, იარაყანს ხმარობს. მკაფიოდ განარჩევს თეთრსა და შავ იარაყანს. 31-ე კარი სწორედ იარაყანის ამ სახეობების გარჩევას ეძღვნება. ზოგადად, ამ კარში ლაპარაკია დაავადების მიზეზებზე, ნიშნებზე, ავადმყოფობის თანმხლებ მოვლენებზე („და ვინ იცის ამა სიყუითლესა ცხელებაჲსა სდევს“ 388, 26), წამლებზე (ცალკე ყვითელი, ცალკე შავი იარაყანის და ასევე იმ დაცდილ წამლებზე, რომლებიც „ორსავე ფერსა იარაყანსა ჰკურნებს და უშველის“ (389, 36), მკურნალობაზე, კვებაზე, ჰიგიენაზე და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუნი ახალ ქართულსა და მის დიალექტებში აღარ ჩანს, იარაყანი კი შემორჩენილია:

ლექს. **ერყანი** 1. ავადმყოფობა; 2. გაუმაძღრობა. „რა **ერყანი** დაგემართა, ამდენ ხანს იყლაპები და ვერ გაძეხი (შდრ. ბერ., ჭყ. **იარაყანი**) (ალავიძე, 1938).

გუნ-, **გუნ-** ფუძეთა შესატყვისად გვესახება ზანურის, მეგრულის **გუნ-** ფუძე: **გუნ-აფა** (მონდინაფა) **დამწიფება** (ფიფია 1999, ქაჯაია I, 2000), **გუნაფილი** (ხილი) – დამკრახული ხილი (ჭარაია 1997, ქაჯაია I, 2000).

გვერდ ფუძე უმლაუტიზირებული სახით და შეცვლილი სემანტიკით უნდა იყოს წარმოდგენილი კომპოზიტში **გვიგვინაფა** > ***გვიგვინაფა** „შეშუპება, გაფუება, გასივება“... **გვიგვინაფილი**... „გასივებული, გაფუებული, შესპებული, დამსხვილებული“ (ქაჯაია I 2000).

ფუძისეული უ-ს უმლაუტიზაცია მეგრულში უკვე ი. ყიფშიძეს აქვს შენიშნული: ჭუტუა || ჭვიტუა „закрывать глаза“ (ყიფშიძე 1914). მეგრულისათვის უცხო არ არის უმლაუტიზირებულ და არაუმლაუტიზირებულ ფორმათა თანაარსებობა, და ეს ლექსიკონებშიც არის დაფიქსირებული. შდრ.: გვირგვინი და გურგინი „გვირგვინი“; გვირგვინუა და გურგინუა „გვირგვინის დადგმა“, გვინი... იგივეა, რაც გუნუ ბოკონი... (ქაჯაია I, 2000). ქართულის სათანადოდ ფორმებთან შეჯერებით მეგრულისათვის რეალური ჩანს როგორც **უ > ვი** (ქართ. მოჭუტვა), ასევე **ვი > უ** (ქართ. გვირგვინი) პროცესები. ასე რომ **გუნ-** (გუნაფა „დამწიფება“) და **გვინ-** (გვიგვინაფა „შეშუპება, გაფუება, გასივება...“, **გვიგვინი** „მსხვილის, მსუქნის გამოხედვა-ყურება“) ფუძეთა დაკავშირება ფორმალური და სემანტიკური თვალსაზრისით მართებული ჩანს.

საყურადღებოა, რომ როგორც **გუნაფას** („დამწიფება“), **გუნაფილის** („დამწიფებული“), ასევე **გვიგვინაფას** („შეშუპება, გაფუება, გასივება“), **გვიგვინაფილის** („შეშუპებული, გაფუებული, გასივებული“) განსამარტავი ქართული ლექსემები (დამწიფება –

დამწიფებული, შეშუპება – შეშუპებული), გადატანითი მნიშვნელობით გარკვეულ დაავადებებსაც აღნიშნავს:

დამწიფებულ-ი... 2. გადატ. რის გამორწყვაც შეიძლება, – დაჩირქებული. დამწიფებული იარა, ნესტარით გამოსარწყავი (ვაჟა) ქეგლ III 1953;

შეშუპებულ-ი... რაც შეშუპდა, – წამობერილი, შესივებული. [გლახას] ყვითელი სახე... შეშუპებული ჰქონდა, როგორც წყალმანკის მქონესა (ილია)... ქეგლ VII, 1962.

ძველი ქართული **გუნ (გუნ-, გვინ-)** „სიყვითლის სენი“ ფუძის შესატყვისი ასევე შეიძლება იყოს სვანური **გუნა** || მური, ჭვარტლი“ (სვანური ლექსიკონი 2000).

ამ დაკავშირებას ახლავს გარკვეული სირთულეები როგორც ფორმის, ასევე სემანტიკის თვალსაზრისით.

ქართული **გუნი** „სიყვითლეს, ყვითელ სენს“ აღნიშნავს, სვანური **გუნა** - „მურს, ჭვარტლს“ ე.ი. შავს. შდრ., **ჭვარტლისფერი**... „შავი“ (ქეგლ VII 1962). შავი და ყვითელი ქართულში ურთიერთშეგუებადი ფერებია, შდრ., შავყვითელი... მოშავო ყვითელი. [მმართველს] შავყვითელი, გაჭიმული პირის კანი ალაგ-ალაგ მოფხუწოდა (ა. ყაზბ.) ქეგლ VII 1962.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ სამკურნალო წიგნში ავადმყოფობის გარეგნული სიმპტომების მიხედვით, გუნი-ი, როგორც სენი, ფერის თვალსაზრისით, ორი სახით გამოვლინდება: **ყვითელი გუნი და შავი გუნი** (სინონიმ. ყვითელი და შავი იარაყანი); შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სვანურში ამ დაავადების მეორე სახე (**შავი გუნი**) განზოგადდა: **გუნა**... „შავი გუნი“; შემდგომში კი სიტყვამ დაკარგა ავადმყოფობის შინაარსი და მხოლოდ, „სიშავის“ და აქედან კი „მურის, მჭვარტლის“ მნიშვნელობა მიიღო: **გუნა** „***შავი გუნი**“ > ***სიშავე** > „**მური, მჭვარტლი**“; სიტყვის მნიშვნელობის მსგავსი ცვლილებები მოულოდნელი არ არის; შდრ., ძვ. ქართ. მწუანე „ბალახეული“ > ახ. ქართ. მწვანე „ნედლი ბალახის, ფოთლის და მისთ. ფერი, თუმცა ახალ ქართულში **მწვანე**-ს ეს ძველი მნიშვნელობაც (ბალახისა) შენარჩუნებული აქვს (ქეგლ V 1958).

უნდა აღვნიშნოს, რომ ძვ. ქართულში ბალახთაგანი წამლის მნიშვნელობითაც დასტურდება: ბალახთაგანი წამალი: „არცა მწუანეთაგანი არცა საღებუნი ჰკურნებდა მათ“. , სიბრძ. სოლ. 16, 11 (აბულაძე, 1973).

სვანურში **გუნა** ლექსემის სავარაუდო ამოსავალი „დაავადების“ მნიშვნელობის გადაზრისათვის ხელშემწყობი შეიძლება გამხდარიყო ამავე მნიშვნელობით თურქ. **იარაყან** სიტყვის

შემოსვლა; ასე მოხდა ქართულში: თურქულმა **იარაყანმა** გამო-
დევნა **გუნი**;

ამ გზას თითქოს აფიქსირებს ლენხუმური, გუნი აქ არ დას-
ტურდება, შემორჩენილია ფონეტიკურად სახეცვლილი **ერაყანი**
(<იერაყანი) ორი მნიშვნელობით: 1. ავადმყოფობა, 2. გაუმაძღრო-
ბა (ალავიძე, 1938).

სვანურში თურქ. **იერაყანმა** დაავადების მნიშვნელობა დაკარ-
გა და მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობითღა შემოგვრჩა:

ჰერყლიზნ (-იშ, - რ ბზ... -ანუ ბქ.), ერყანიან, ერყალიან (-იშ, -
არ) ქს. - ღორმუცელა, გაუმაძღარი. ეჯი ესერ, ხოლა ჰერყლი ნ
ლი (ბქ. 252) - ის გაუმაძღარიო. სი ერყანიან! - შე, ღორმუცელა!
(სვანური ლექსიკონი, 2000).

რაც შეეხება ქართ. **გუნ-ი** და სვან. **გუნა-ი** დაკავშირების
ფორმალურ მხარეს. სვანურში ფუძის ბოლოკიდური ა ხმოვანი
შეიძლება სიტყვაწარმოებითი სუფიქსი იყოს, შესაბამისად, ფუძე-
ში უ ხმოვნის უმლაუტი არ ხდება: ასეთ ვითარებაში საერთო
ქართველურისათვის ***გუნ-** ფუძე აღდგება. შეიძლება სხვაგვარი
დაშვებაც.

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

ქარ სიტყვის შემცველი ავადმყოფობის აღმნიშვნელი კომპოზი- ტებისა და სინტაგმების წარმომავლობისათვის ქართული ენის დიალექტებში

ქარი ძველ ქართულში „ჰაერის ძლიერი მოძრაობის“ გარდა
„სულსაც“ „ნიშნავდა. ქარი, სადა უნებნ, ქრის“ C – „სულისა,
ვიდრეცა უნებნ, ქრინ“, DE. 3, 8 (ი. აბულ.).

სატადრო მედიცინის მიხედვით სამყაროში არსებობს ორი სა-
წყისი, ორი მამოძრავებელი ძალა – ცხელი და ცივი ქარი. თუ
ამ ქართაგან ერთ-ერთი იმატებს, მაშინ მოიშლება წონასწორო-
ბა და ჰარმონია ყოველი სხეულისა, აქედან ჩნდება ავადმყოფო-
ბა. სხვანაირად, ყოველგვარი ავადმყოფობის წარმომშობი მიზე-
ზი ან ცხელი ქარი არის, ან ცივი. თუ სხეულში გამრავლებას
იწყებს ერთი რომელიმე ქარი, მაშინ მცირდება მეორე და გა-
ძლიერებული ქარი იჭერს მის ადგილს. (ლ. კოტეტი). ამიტომაცაა,
რომ ხალხურ მედიცინაში ყველა ავადმყოფობას თან ახლავს
ცნება ქარი. მაგ., **თია ქარი, ფერდის ქარი, „ფილენჯის ქარი,**

მჭვალის ქარი, ნეკრესის ქარი და სხვ. იოანე ექიმმა უთხრა: ეგ
ქარსურავანდია, წითელი ქარი აუღია, და მე ფეხზედ წამალს
დაგაკრავ, რომ ეგ ქვეით ჩაიტანოს ფეხებშიო (კალმ.).

რაიმე ავადმყოფობის დასახელებისას ამ მნიშვნელობით **ქარი**,
გვხვდება როგორც დამოუკიდებლად, ისე რთულ სიტყვების შე-
მადგენელ ნაწილად და ფართოდ გამოიყენება თანამედროვე
დიალექტებში, შესაბამისად, ასახულია სამწერლო ქართულშიც.

ქველში **ქარის მე-2** მნიშვნელობა ასეა განმარტებული: იხმა-
რება უპირატესად მრავლობითად, სახსრებისა და კუნთების და-
ავადება, – რევმატიზმი; იცის მაგარი მტეხავი ტკივილი. **ქარების**
გარდა [ივანეს] სჭირდა აგრეთვე ყიყვი (ჭ. ლომთ.). ქარები –
რევმატიზმი. ერთი თვე ბილამ იქნება, ვწევარ, **ქარები** მაქს (მესხ.
ფეიქრ.). **ქარი** – ავადმყოფობა. **ქარმა** დაჰკრა და ბავშვს დაერთო
(ჯავახ. ბერ.). მუხლებში **ქარი** დამადგა, აღარც მომყვება წელია
(ვაჟა). **ქარი გოუდგება** სახსრებში სახსრებში კრუნჩხვა დაემარ-
თება, წელი (ფეხი, ხელი) გაუშეშდება. „კაცს **ქარი გოუდგა**
წელში და ვეღარაფელს აკეთებს ამ შემოდექზე“ (იმ. გაჩეჩ.); **და-**
აქარიანებს – ქარებს გაუჩენს. ახუნმა დამაქარიანა, ჩარგალში
თივათ ყენებამა (ხევეს. პ. 754,2); **ქარი, სიმსივნის ქარი** – სიმსი-
ვნე, ხალხის წარმოდგენით სიმსივნე თითქოს ქარია, მორჩენისას
გაქრება (ქიზ. მენთ.).

ქარი გამოიყოფა ავადმყოფობის აღმნიშვნელ შემდეგ კომპოზი-
ტებში: **ქარცეცხლი** – ეგზემა. **ქარცეცხლი** ააჩნდა, ძალიან ძნე-
ლი, ყველგან შეიძლება ამოვიდეს (ძეგ.). ფეხი სულ მთლათ და-
რუმბებული ჰქონდა და ექიმმა უთხრა, **ქარცეცხლიაო** (ძეგ.)
(ქართლ. ბეროზ. და სხვ.). **ქარტეხად** – მუცლის ჭვალის, ნაწლავ-
ების ტკივილი შიგ ქარის გავლით. „**ქარტეხისად** კარგა ყოფილ
ზეთში რო ერთ-ორ წვეთ იოდ ჩაყსხად შესე (თუშ. ცოც.). **ქარშა-**
კიკი – შაკიკი. ნუ გეშინია, **ქარშაკიკი** იქნება და გაუფლის! (ქემ.).
როცა შაკიკი გაქს, კაკლი ძირში უნდა გაიარო, შემოუარო სა-
მჯერ, თან უნდა თქვა, ჩემი **ქარშაკიკი** იმის თავში იყვეს, ვინც
პირველად მზეს შეხედამსო ყველაზე პირველად კაკალი ხედამს
მზესა (ქვეში) (ქართლ. ბეროზ. და სხვ.). **ქარსოკო** ბუასილი
(მესხ. ფეიქრ.).

ძირითადად კი **ქარი** ავადმყოფობების გამომხატველ სინტაგ-
მებში დასტურდება.

სოკოს ქარები – ბუასილი. სოკოს ქარები ბზუკებათ არი სა-
ჯღომზე და სოკოს გამს (ბერეთისა) ((ზ. იმ ძოწენ.); **ფილენჯი**
ქარი ერთგვარი სენია. ადამიანს გული წაუვა, წაიქცევა, და მო-
აბრუნებენ; გაივლის რამდენიმე ხანი და ისევ მოუვლისო (ქიზ.
მენთ.). **წითელი ქარი** კანის ავადმყოფობაა: სახე ან სხეულის

სხვა ნაწილი წითლად უსივდება. იცის ხოლმე ხელახლა მოკითხვა (ქიზ. მენთ). **საკეკი ქარი** შაკიკი. ულოცავდნენ წამლობის მაგიერ (ქიზ. მენთ).

აღის ქარი – ავადმყოფობა (თითქოს სიცხიანი რევმატიზმები). რა **აღის ქარი** აუტყდა ამისთანა, რო შფოთავს და ფოთავს, წყევლა: უი მას და აღის ქარი (იმ. ქავთ). **კუს ქარი** – სიმსივნე. კუს ქარს ეტყოდენ, რო დაუსივდებოდა, ამოებერებოდა და იმატებდა ი სისივნეი, გაახურებდენ ბარსა, გაავარვარებდნენ და უელვებდენ შორიასლო, რასაც გაუძლებდა (ხც.) (ქართლ. მესხ.). **სიმწვავის ქარი** – მწვავე ტკივილი, ამა თუ იმ ორგანოს ტკივილისაგან გამოწვეული მთელი სხეულის ტკივილი. „თითში გარცმულა გამამივიდა და იმი **სიმწვავი ქარი** მთელ ასოტანში მივლის (ქიზ. მენთ. დამატ.). ფშავში მლოცავებს მიმართავდნენ ზოგიერთი სხვა ავადმყოფობის დროსაც. ესენია: ბედნიერი (ციმბირის წყლული), თავის ტკივილი (შაკიკის ქარი), თიაქარი, წითელი ქარი, სენცეცხლა (კანის ავადმყოფობა) (ლ. ბოძაშ.).

ქეგლ-ში ზოგიერთი ავადმყოფობის აღმნიშვნელი **ქარ-** ფუძიანი სიტყვა იდიომებადაა მიჩნეული და შემდეგნაირადაა კვალიფიცირებული: **ღ წითელი ქარი** გადამდები ავადმყოფობა, კანისა და ლორწოვანი გარსების ანთება; იწვევს განსაკუთრებული მიკრობი; ხასიათდება კანის დაავადებული მიდამოს შესივებითა და გაწითლებით. ამბობდა – „წითელი ქარიაო: და ლოცვით უპირებდა განკურნებას (ე. ნინოშ.); **ღ ნიკრისის ქარები** სახსრების და ქსოვილების ქრონიკული დაავადება, „ავი ქარი“ (საბა). [ბერებს] არც კი ერცხვინებათ, სხვამ რომ გაუგოთ, რომ ნიკრისის ქარებით არიან დაავადებულნი (თ. სახოკ. თარგმ.); **ღ ფილენჯის ქარი** ორგანიზმის ერთი რომელიმე ადგილის დაზიანება. შაჰბაზმა რომ [დალატის] ამბავი გაიგო, ფილენჯის ქარმა მოუარა (აკაკი).

გეხვდება **ქარ** სიტყვის შემცველი იდიომატური გამოთქმებიც: მაგ. **ფერდი ქარს ამოაღებინებს** მუშაობით დადლის, დაქანცავს. ცოტა ხელი წამახმარე, გასათოხნი მააქო და თელი დღე მათოხნინა, ფერდი ქარი ამომადებინა (ბროწ.) (ქართლ. მესხ.). **შიში ქარი აქვს** – ძალზე შეშინდა, ეშინია, შიშით ძრწის. ამასაც გულში ცოტაოდენი შიშის ქარი ჰქონდა (თ. რაზიკ.). **ზაფრის ქარებს აუტეხს** – დაასევდიანებს, დაზაფრავს: სევდა-ნალველს აღუძრავს. მებატონეს ადგილ-მამულის სავაჭროდ გამოცხადებამ **ზაფრი ქარები აუტეხა** (გ. წერეთ.).

ქარი და მისი შემცველი რთული სიტყვები ავადმყოფობის მნიშვნელობით სხვა ქართველურ ენებშიც დასტურდება. ქარ, ქარაღ (-იშ, ქარაღ ბზ., ლნტ., ქარარ ბქ.) ქარ (-აღ) ლშხ. – ქა-

რები, რევმატიზმი. ქარაღ ბგვი ლეგლირდე ლი (ბზ.) – რევმატიზმი მიმე ავადმყოფობაა. აღ ბალახს ქარი ჟავარდ ივმარის (ლშხ., ხორ4) – ამ ბალახს ქარების წამლად ხმარობენ. ქარაღ სურუ აწხ-ტაუ –ი დადას (ლნტ.) – ბებიას რევმატიზმი ძალიან აწუხებს (სვან. თოფ. ქაღღ.).

ქარცეცხლი ავადმყოფობაა ერთგვარი. – ტანზე დაქერცლავს და აფხანინებს. ვაი სი დო ქარცეცხლი! – ვაი შენ და ქარცეცხლი (წყევლა) (მეგრ. ქაჯ.).

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით **ქარ-** საერთო ქართველურ ფუძედაა ჩათვლილი. ქართ. ქარ-ქრ ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. ნქირ-ქურ-ქორ-ოუი პროცესის შედეგად და სვან. ქარქრ. ლაზურში შესატყვისი ძირი არ ჩანს (ფენრიხი, სარჯველაძე).

შემოკლებათა განმარტება

ი. აბუღ. – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ლ. ბოძ. – ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშაველები, თბ., 1988.

ზ. იმ. ძოწენ. – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.

იმ. გაჩენ. – პ. გაჩენილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

კაღმ. – იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ქართული პროზა, თბ. 1984.

თუშ. ცოც. – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბ., 2002.

ლ. კოტეტი. – დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ლადო კოტეტიშვილმა, თბ., 1985.

მეგრ. ქაჯ. –ო. ქაჯაია მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბ. 2002.

მესხ. ფეიქრ. – ქ. ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთაისი, 1992.

სვან. – ვ. თოფურია, მ. ქაღღანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

ფენრიხი, სასარჯველაძე – პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

ქართლ. მესხ. – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალა) თბ., 2006.

- ქართლ. ბეროზ. და სხვ. – ქართლური დიალექტის (მასალები). შემდგენლები თ. ბერო-ზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე თბ., 1981.
- ქეკელ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ-I-VIII, თბ., 1950-1964.
- ქიზ. მენტ. – სტ. მენტაშაშვილი, ქიზიური ლექსიკონი, თბ., 1943.
- ხეკს. ჭინჭ. – ა. ჭინჭარაული, ხეკსური ლექსიკონი, თბ., 2005.
- ჯავახ. ბერ. – გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981.

ნ ა ნ ი ხ ე ლ ა ი ა

საკვებ მცენარეთა თვისებები ჰუმორული პათოლოგიის თეორიის მიხედვით და მათი შეფასება

ქართული სამედიცინო ტრადიციები ითვალისწინებს უძველესი ცივილიზაციების სამედიცინო აზროვნების თეორიულ საფუძვლებს. აღსანიშნავია ჰუმორული პათოლოგიის თეორია, რომელიც დაკავშირებულია გარემომცველი სამყაროს ოთხი სტიქიისგან (მაკროკოსმოსი) და შინაგანი სამყაროს ოთხი სითხისგან (მიკროკოსმოსი) შექმნის კონცეფციასთან. ამ თეორიის თანახმად, სტიქია ჰაერს შეესაბამება სითხე – სისხლი, ცეცხლს – ზაფრა (ყვითელი ნალველი), მიწას – სევდა (შავი ნალველი), წყალს – ბაღდაში (ღორწი). გასათვალისწინებელია უძველესი წარმოდგენები ამ ოთხი ძირითადი სითხის ბუნებაზე. კერძოდ, თვისება „მხურვალე“ – ხასიათდებოდა სითბოს, „გრილი“ – სიცივის, „ხმელი“ – სიმშრალის და „ნოტიო“ – სინედლის მოჭარბებით. არსებობს უფრო რთული ბუნება, რომელიც განისაზღვრება ერთდროულად ორი თვისებით და არის ასევე ოთხი კატეგორიის: „მხურვალე“ და „ნოტიო“ – სითბოს და სინედლის, „მხურვალე“ და „ხმელი“ – სითბოს და სიმშრალის, „გრილი“ და „ხმელი“ – სიცივის და სიმშრალის, ხოლო „გრილი“ და „ნოტიო“ – სიცივის და სინედლის მოჭარბებით. ამ შეხედულებათა გათვალისწინებით არსებობს ადამიანთა ორგანიზმის შესაძლო 9 ტიპი: ოთხი მარტივი, ოთხი რთული და ერთი ნეიტრალური. ეს უკანასკნელი შედარებით იშვიათად გვხვდება. ძირითადი სითხეები, მათი ბუნების და თვისებების შესაბამისობა შემდგენილია:

სისხლი „მხურვალე“ და „ნოტიო“, ზაფრა „მხურვალე“ და „ხმელი“, სევდა „გრილი“ და „ხმელი“, ხოლო ბაღდაში „გრილი“ და „ნოტიო“. აქედან გამომდინარე, სისხლის და ზაფრის „მხურვალეობას“ აწონასწორებს სევდის და ბაღდაშის „სიგრილე“, ხოლო ზაფრის და სევდის „სიხმელეს“ – სისხლის და ბაღდაშის „სინოტივე“.

ამ თვისებებით განისაზღვრება მაკრო და მიკროკოსმოსის ყველა მოვლენა, მათ შორის ჰუმორული ფაქტორები, ადამიანის ორგანოები, საკვები პროდუქტები, სამკურნალწამლო საშუალებები და სხვა. ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების წინაპირობა არის ამ სითხეებისა და მათი თვისებების წონასწორობაში ყოფნა, მათი სრული ნეიტრალურობა, რომლის დარღვევა, რომელიმე სითხის და თვისების მოჭარბების ხარჯზე, განაპირობებს პათოლოგიას. ჰუმორული პათოლოგიის თეორიის მიხედვით მკურნალობის მთავარი პრინციპი იყო „contraria contrarii curantur“ – „საწინააღმდეგო იკურნება საწინააღმდეგოთ“. შესაბამისად, „სიმხურვალით“ გამოწვეულ დაავადებებს მკურნალობენ „გრილი“ ბუნების წამლებით, „სიგრილით“ გამოწვეულ დაავადებებს კი – „მხურვალე“ ბუნების წამლებით და ა.შ. იმავე პრინციპით ხდებოდა სამკურნალო დიეტის დანიშვნა.

ჩვენ შევჩერეთ ყურადღება საკვებ მცენარეებზე, რომელთა უმრავლესობა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის გამო სამკურნალო თვისებებითაც ხასიათდებოდა. ქართული სამედიცინო ტრადიციები გამოირჩევა დიეტეტიკის ფართო სპექტრით. იგი მოიცავს ადამიანთა პოპულაციის ყველა ასაკობრივ ჯგუფს, ითვალისწინებს ინდივიდის კონკრეტულ მდგომარეობას და მისი კონსტიტუციიდან გამომდინარე, მიღრეკილებას ამა თუ იმ დაავადებების მიმართ, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით სთავაზობს ჯანსაღი ცხოვრების წესს და ჯანსაღ კვებას. ამ უკანასკნელშიც იგულისხმება „საწინააღმდეგოს“ პრინციპი, ანუ თუ ადამიანი თავისი ბუნებით „მხურვალე“ და „ნოტიოა“, მაშინ ის უნდა იკვებებოდეს „გრილი“ და „ხმელი“ თვისების მქონე საკვებით. საკვები მცენარეებიც თავისი თვისებების მიხედვით იყოფიან სხვადასხვა კატეგორიებად. „მხურვალე“ და „ხმელი“ თვისებების მქონე მცენარეები ძალიან ბევრია, მაგრამ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან მოქმედების ხარისხითა და საფეხურებით (I, II, III). მაგალითად, ქლიავი „გრილია“ I საფეხურის, ხოლო „ნოტიო“ – II საფეხურის. კვახი „მხურვალეა“ I საფეხურის II ხარისხის და „ნოტიოა“ III საფეხურის I ხარისხის, შავი წიწაკა „მხურვალე“ და „ხმელია“ III საფეხურის III ხარისხის.

კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ შევისწავლეთ საქართველოს ფლორის საკვები მცენარეების გამოყენება წარსულში. შევადგინეთ ცხრილი, რომელშიც იდენტიფიცირებული საკვები მცენარეები წარმოვადგინეთ უახლესი ბინარული ნომენკლატურის გათვალისწინებით და დავაჯგუფეთ შემდეგი პრინციპით: მარცვლოვნები, პარკოსნები, კურკიანი, კენკრა, ბოსტნეული, მწვანელი, ველურად მოზარდი საკვები ბალახი, სანელებლები, მცენარეული ზეთები და გომფისები. შევაფასეთ ისინი თვისებების და მოქმედების ხარისხის მიხედვით და ვადასტურებთ წარსულში მათი გამოყენების უპრიანობას.

ვფიქრობთ, რომ ჰუმორული პათოლოგიის თეორია, მიუხედავად თავისი, ერთი შეხედვით, პრიმიტიულობისა, საკმაოდ ეფექტურად არეგულირებს დიეტოლოგიაში ცალკეული საკვები პროდუქტის ხასიათსა და მიზანდასახულობას. ანალიზმა გვიჩვენა, რომ კვების რეჟიმის მრავალნაირი კომბინაციები ასახავს საქართველოს სინამდვილეში ტრადიციული საჭმელ-სასმელის სიუხვეს, ქართველი ხალხის გემოვნების სირთულეს, სინაზეს, სიფაქიზეს, რაც გულისხმობს კვების კულტურის მაღალ დონეს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კვების მთავარი პრინციპი ნებისმიერ ასაკში არის ორგანიზმის ჰომეოსტაზის შენარჩუნება დაბალანსებული რეჟიმითა და ინდივიდუალური მიდგომით.

ნ ა თ ი ა ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე

ქართველთა ხალხური სამედიცინო ცოდნის ეთნოლინგვისტური ასპექტები

ყოველ ბუნებრივ ენას სამყაროს აღქმისა და ორგანიზაციის განსაზღვრული ხერხები გააჩნია. ადამიანის მიერ სინამდვილის კონცეპტუალიზაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ იმ რეალობაზე, რაზედაც იგი დაკვირვებას ახდენს, არამედ იმ კლასიფიკაციურ ბადეზე, რასაც ენა თავს ახვევს მოლაპარაკეს. კონკრეტული ენის მატარებელი ხალხის სამყაროს ხატი ამ ენის პრიზმში ყალიბდება.

ქართველმა ხალხმა დღემდე შემოინახა უძველესი ტრადიციული სამედიცინო ცოდნა, რაც ასახულია მათ სამედიცინო ლექსიკაში. საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამედიცინო ტერმინთა (დაავადების სახელწოდებანი, დაავადების ნიშნები, სამკურნალო საშუალებანი) ანალიზი საშუალებას იძლევა, ერთი

მხრივ, განისაზღვროს ამა თუ იმ დაავადებათა გავრცელების ინტენსივობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და, შესაბამისად, ამ დაავადებათა მკურნალობის ხერხები, მეთოდები და ადგილობრივი რესურსების ბაზაზე შექმნილი სამკურნალო საშუალებები.

მეორე მხრივ, შესაძლებელი ხდება თვალი გავადევნოთ ენისა და კულტურის სხვა კოდების ურთიერთმოქმედების თავისებურებებსა და ხასიათს, მათ სისტემურ და ფუნქციონალურ შესაბამისობას და სხვ. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია გენდერული და ფერთა კოდების როლი ხალხურ სამედიცინო ტერმინთა ჩამოყალიბებაში. სამედიცინო ტერმინოლოგიაში აისახა გენდერული დიფერენციაცია და მასთან დაკავშირებული მასკულინობა-ფემინურობის სტერეოტიპთა ტრადიციული სისტემა (დედალი და მამალი კუდა, დედალი და მამალი ეგზემა, დედალი და მამალი საყმაწვილო და სხვ.); მასზე გავლენა იქონია ქართული კულტურისათვის ტიპურმა ფერთა სიმბოლიკამაც (შავი ჟამი, შავი ტიფი, შავი ზნე, წითელი ქარი, წითელი ზნე, თეთრი ზნე და ა.შ).